ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2598223

ნომერი: AR1402499

თარიღი : 06.05.2016

გაცემის თარიღი : 17.05.2016

გაცნობის თარიღი : 18.05.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გივი კარტოზია , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა ფარცხალაძე პ/ნ 01009018665
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24გ ბ. 85

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ახლადაშენებული შენობის ფასადზე, კონდენციონერის მოწყობას, საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ რომ ვინაიდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და შენობა, რომელზეც დაგეგმილი გაქვთ კონდიციონერის მოწყობა არის ახლად აშენებული, არქიტექტურული თვალსაზრისით ჩამოყალიბებული იერსახის მქონე, სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ინდივიდუალურად, მხოლოდ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადებზე კონდენციონერის მოწყობა მიზანშეწონილად მიაჩნია იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, თუ თქვენს მიერ შემუშავდება ერთიანი ესკიზი, რომელიც გაითვალისწინებს შენობის ფასადის სარეკონსტუქციო ვერტიკალურ სვეტში არსებულ ყველა ფართის ფასადზე კონდიციონერების მოწყობას, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული სამუშაოების განორციელებაზე შესაბამისი წერილობითი თანხმობა გაიცემა ერთიანი იერსახის გათვალისწინებით თქვენთვის ინდივიდუალურად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი უნდა იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, შორი მანძილიდან გადაღებული ხედით (ფასადი პირველიდან ბოლო სართულამდე) და აღნიშნული ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული ერთიანი ესკიზის ფოტომონტაჟი, თქვენი საპროექტო ფართის მონიშვნით.

ფოტომონტაჟთან ერთად წარმოდგენილი იქნას საკადასტრო გეგმა, მასზე საპროექტო არეალის მონიშვნით.

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.